№ 70 ოთხშაბათი, 1 აპრილი, 1898 წ.

1877—1898

№ 70 ოთხშაბათი, 1 აპრილი, 1898 წ.

ივერია

ფასი ტფილისში:
თვე . . . 10—
11 . . . 9 50
10 . . . 8 75
9 . . . 8 —
8 . . . 7 25
7 . . . 6 50

ფასი გარეთ:
6 . . . 6 —
5 . . . 5 50
4 . . . 4 75
3 . . . 3 50
2 . . . 2 75
1 . . . 1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ფასი ტფილისში:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ფასი გარეთ:
ერთ-ერთ ადგილას
ფასი ერთ-ერთ ადგილას
ფასი ერთ-ერთ ადგილას
ფასი

სამრევლო-საეკკლესიო სკოლაში შევედი. სკოლა მეტად მოუწყობელია, მასწავლებელს თვეში მხოლოდ 10 მანეთი აქვს ჯამაგირი. მოსწავლე სულ 30 ყმაწვილია, მათ შორის 10 აფხაზი. ერთი გარემოება ამ სკოლაში მეტად ღირს საყურადღებოა: ბავშვებს ჯერ საეკკლესიო-სლავიანურ კითხვას ასწავლიან და მერე რუსულს. მასწავლებელმა სთქვა, რომ საეპარქიო-სამოსწავლო მთავრობა ისეთ ანბანს გვიგზავნის, რომლითაც ჯერ სლავიანური კითხვა უნდა ვასწავლოთ და მერე რუსული“.

⁂ ქ. ახალციხე. 4 წელიწადას სელი მაჭვეკს ქართულ დედათა სასწავლებლის შენობის აგებას 100 მოსწავლის მოსათავსებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ კედლები აქმნა აგებული, თუმცა ამ საქმეს უკვე 3 ათასი მან. მოანდომა. ხარჯს კიდევ 2,000 მ.ნ. მოელიან. შენობის აგება სეტტემბრის გასულს უნდა დასთავრდეს. ამისთვის საჭირო თანხის ერთი ნაწილი უკვე ხელთ აქვთ, ხოლო დანარჩენი საჯიმაგის გამართვით უნდა მოაგროვონ. ასეთი საჯიმა 22 მარტს აქმნა გამართული მაზრის უფროსის მეუღლის თაოსნობით და შესასკვლელ ბიჭეთის ფასი თუმცა დადიოო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად დასწრო. შეკვნაგვრად იყო დადგმული ამ საჯიმის ცოცხალი სურათები. („ნოვ. ობზრ.).

⁂ გამოიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალ „ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐ“ მე-III ნომერი შემდეგის შინაარსით: მეანარე, ლექსი—შ. მდიმელისა; კაზაფხული (ამბავი) თ. რაზიკაშვილისა; ერთი დღის ამბავ (ფრანგულიდგან)—ფ. რუშაკოვისა; ქალაქელი მამაკ, მოთხრობა—კანონისა; ეხლანდ ქეიფანს (დასასრული)—კანონისა; ფიზიოლოგიური წერილები—სეზრდო და მისი წყარო—ე. გომაროვისა; ხარბა—თ. კანდელაკისა; საკვირველებანი ბუნებისა № 13 ბამბუკი—ლადო ანდნაშვილისა; ლუდი და მისი ძალი (ინგლისურიდგან)—ინგლისელი ქალისა; სწავლული ბიჭი—ბ. ს—ძე; სამეცნიერო გასართობი № ტრაკიტროპი ბობასი და ზეგიდმანი...

⁂ ტფილისის პოლიციმეისტერმა ბრძანება გასცა, რომ ამ უკმეცების დროს ტფილისის პოლიციამ მეტი ყურადღება მიაქციოს და აღუკრძალოს ჩარჩ-მოვაპრეგებს სოფელელებისაგან ქალაქ გარეულ სხვა-და-სხვა სურსათის და სანოვაგეს. სყიდვა და მერე ერთი ორად გაყიდვა. ამ აზრით, ყოველ დღე უნდა გაიგზავნოს ხოლმე თვალ-ყურის საკვრად ორი დარაჯი კაზეთის ქუჩის ბოლოებიდან ორიც ერეკვანში მიმავალს გზაზედ.

⁂ 30 მარტს, დილის 8 საათზედ, მოვიდა მე-9 პოლიციის ნაწილში, მესამე თუმანოვსკენაჯზედ მელიქოვის სახლეზში მცხოვრები, სპარსეთის ქვეშევრდომი დავით იოსების ძე მანსუროვი და განაცხადა, რომ წუხელის შუა ღამის 2 საათზედ ერთი ვილაც უცნობი კაცი მაღალ-მადალი, ლურჯ კუდიანი, ღია კარებიდგან შემოვიდა და მზოლიარეს თავზე დამადგა, სპიჩკაც ანთო. ამ დროს გამომეღვიძა და შევეხეზე, რა გინდა-მეთქი. უცნობმა რევოლვერი დასცალ, თავში დამჭრა და შემდეგ გაიქცა. როცა დაბრალი გამოვედ გარეთ, იმ უცნობთან კიდევ სხვა ორი ამხანაგი გარბოდნენ. პოლიციამ მანსურავი გაგზავნა საავადმყოფოში და ეკმეზის აზრით, ჭრილობა ძალიან საშიში აქვს თურმე. გამოძიება სწარმოვს და დამნაშავეს დაეძებენ.

სიტყვა, წარმოთქმული მაღალ-ყოვლად უსაღვდელოკეზის ფლაბიანეს მიერ გზოგზის კვირას სიონინ ტაძარში.

უფალი მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე მიმავალი ნებითა თვისით ვნებად თვისად, „ოსანნა“-ს ღაღადისითა შედიოდა ოდესღაც იერუსალიმად, აღსავსე დიდის ზრუნვითა დაგრდმილისა ადამიანისთვის და იმად, რომ შთაეერგა გულთა შინა ადამიანთა, ჯვარცმის ვნებითა თვისითა, სიყვარული და მშვიდობა უფლისა.

აწ, დღესა წმ. ეკკლესიის მიერ უფლისა იერუსალიმად გამომჩვენებით შესვლისა დღესასწაულისასა, მეცა, უღირსი მსახური ქრისტესი, ვიწყებ მსახურებას ქართულ ის წმ. ეკკლესიისა, აღსავსე მწყემსის ზრუნვითა თქვენისა ცხოვნებისა და საუკუნო ნეტარებასა შინა შესვლისათვის. გარდმოავლინოსმცა უფალმა კურთხევა თვისი წინამდგომარეცა საქმესა ჩემსა და აღასრულოსმცა კეთილნი სურვილნი გულისა ჩემისანი თქვენდა სულიერად მოსაწყობად!

არა ვიყავ მოკლებული ძრწოლისა სულისასა, შემორავიდოდი ამა, აწ ჩემთვის მშობელსა, ძველსა იეროიის ქვეყანასა, რომელშიაც აქამომდე ყველა მისს ჭეშმარიტად მორწმუნე შვილთა გულსა შინა გაისმის წმ. ნინოს მოციქულებრივი ხმა, მაუწყებელი სასიხარულო ამბავთა ქვეყნის მხსნელისა, სახარების მოსმენისა, სასწავლთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მაცხოვნებელ და მხსნელ ენებათა, სიკეთილისა და აღდგომის შესახებ. ეს ჩინებული ქვეყანა მორწყულია წმ. მოწამეთა სისხლით, ეს ქვეყანა აღსავსეა მრავალისა წმიდა აღთქმითა და ძველის გარდმოცემათ: ძველთა ტაძართა და წმ. სამყოფელთა დიდებულნი ნაშთნი უსიტყვოდ, მაგრამ ყოველსა სიტყვაზე ძლიერად გვამცნებენ სარწმუნოების იმ დიადსა ძალასა, რომელიც აკავშირებდა ძველსა საქართველოში მეფეთაცა და მდაბიოთაცა ღვთისა ერთ დიდებულ სამეფოდ, დაუთრგუნველად უხილავ მტერთა მზაკვრობათაგან. ვით მთის ნაკადული, რომელი ჰკოთის ბროლისებურ წმინდის ცვარით და თვისთა ტალღათა შორის შთაისახავს მზის სხივის სხვა-და-სხვა ფერსა, ეცემა მთათაგან და სწრაფად მდინარებს ველსა ზედა, განაცოცხლებს და სასტიესა კლდეთა მისთა მშვენიერისა მთის ყვავილებით განამშვენებს, ეგრეცა საქართველოს წმ. მართლმადიდებელი სარწმუნოება, ზეციდგან ქვე-დაცემული წმიდასა გულსა შინა მოციქულთა სწორის ნინოსასა, საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე და მწუხარე ფურცლებზედ სახარებრივის სხივებითა ჰბრწყინავს, შთაისახავს თვისსა შინა ყოველად მოწყალესა ღმერთსა, განაცოცხლებს საქართველოსა და განამშვენებს საქართველოს და მისთა მოსაზღვრე ქვეყანათა ერთგულთა შვილთ ქრისტეანებრივის სათნოებითა. მე ეხლაცა ვჰკრეტ ამა წმიდა სარწმუნოებასა. იგი ანთია ბრწყინვალე ლამპარად გულთა შინა თქვენთა, იგი ჰბრწყინავს თვალთა შინა თქვენთა, მან მოგიყვანათ ამა წმ. ტაძარსა, რათა პირველ ილოცოთ ჩემთან ერთად, იგი გაგიღებთ გულმოდგინეობით მიაპყრათ ყური სამლოცველო სიტყვათა, იგია საუკეთესო თავმდები თქვენის სულიერად ცხოვნებისა, იგია სასოება და იმედი ქრისტეს ამა ქართულსა საძოვარსა ზედა ჩემისა სამწყემსო შრომა მეცადინეობისა. იყოსმეცა იგი, წმ. სარწმუნოება, რომელი მცნებად გაქვთ დაუბეული საქართველოს განმანათლებელის, მოციქულთა სწორის ნინოს მიერ, ქრისტეს წმიდა გრგოლადა და ბორკილად შემაერთებელად ჩემისა თქვენდა სიყვარულისა თქვენთა გულთა და ჩემთა მოძართ ნდობასათანა. აღმოავლინოსმცა მან გულისა თქვენისა სიღრმეთაგან მარტოოდენ სასიხარულო ღაღადისი: „ოსანნა ძესა დავითისასა, ოსანნა მაღალთაშინა“. განშორებულიმცა იყოს წმიდისა სარწმუნოების მიერ ჩვენის ცხოვრებისა და ურთიერთ არს კავშირისაგან ყოველიეი ცუდი, ბოროტი და მზაკვარი. განამრავლოსმცა უფალმა სარწმუნოება თქვენი და განამტკიცოსმცა წმიდამან სარწმუნოებამან გულთა შინა თქვენდა მშვიდობა უფლისა და სიყვარული, რომელი აღთქმად დაგვიდო ქრისტემან მაცხოვარმან: ძმანო, ადო�dდეთ ჩუმ[illegible]ᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲩᲣᲛᲘᲡ ᲡᲐ ᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜ. ᲐᲛᲘᲜ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝ.

30 მარტი

საბჭომ მოისმინა სამოსწავლო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ გრაფ ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდია მიეცეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს იასონ მანდელნოვს. როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, სხვა-და სხვა უნივერსიტეტის რვა სტუდენტს უთხოვნია ამ სტიპენდიის მიღება, მაგრამ კომისიამ ღირსად მხოლოდ იასონ მანდელნოვი სცნო.

საბჭომ შეიწყნარა სამოსწავლო კომისიის მოხსენება.

შემდეგ კენჭის ყრით საბჭომ დაადგინა მიეცეს 500 მანეთი გამგეობის წევრს ხოსროვევს, რომელიც ამ ჟამად ავად არის.

წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსასყიდად მოსამზადებელის მოქმედების შესახებ. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ამა წლის 25 ოქტომბერს სრულდება ცხენის რკინის გზის გამოსყიდვის ვადა. ამიტომ გამგეობა იმ დასკვნას დასდგომია, რომ, თუმცა ქალაქი და რკინის გზის გამგეობა ვერ მორიგდნენ იმის შესახებ, რა უნდა იქნეს გამოსყიდული და რა არა, გამოისყიდოს ის, რის გამოსყიდვის ნებაც რკინის გზის უსახელო საზოგადოების აზრით ქალაქსა აქვს, ე. ი. მარტო ლიანდაგი, ხოლო დანარჩენის შესახებ საჭიროა დაიწყოს. აგრეთვე ქალაქმა უნდა დაიწყოს საჭიროი იმის შესახებაც, რომ უსახელო საზოგადოებამ გადაუხადოს ყოველი ის ზარალი ქალაქს, რა ზარალიც მას უსახელო საზოგადოების ასეთის მოქმედებით მოუვა. რაც შეეხება ცხენის რკინის გზის წარმოებისათვის საჭირო მასალის შეძენას, როგორც მგ. ვაგნერისა, ცხენისა და სხვა, გამგეობა თავის დროზედ სხვა მოხსენებას წარუდგენს საბჭოს. სხვათა შორის ამაგე მოხსენებიდგანა სჩანს, რომ უსახელო საზოგადოებამ, თავისისავე სიტყვით, ტფილისის რკინის გზებიდგან წინდა შემოსავალი ჰქონია ხუთის 1892—1896 წლის განმავლობაში 106 ათასი მანეთი, ხოლო უკანასკნელის 1897 წლისა—161 ათასი მანეთი.

საბჭომ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება.

ბით სტკბებოდა. მურადმა გადაავლო თვალი მიდამოს და გაიცინა გონებაში: „ᲘᲛᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲚᲚᲐᲰ-ᲘᲐᲠᲘᲡ, რატომ ადამიანიც არ არის ასე უშფოთველი და წყნარი“. ნეტა რა მომელის, გავხდები ბედნიერი ფატმას მეუღლეობით?... სიტყვა არ დაეთავებინა, რომ ᲗᲘᲗᲐᲠᲗᲘ ᲘᲡᲚᲐᲛᲘ შემოჯირითდა წყვილის ცხენით.

უცებ ისევ შეიცვალეს ტანსაცმელები. მხიარული მურადი გაეშურა თავის გზისკენ და ისლამი-კი შევიდა ცოლთან-მისს საყვარელ მირატთან. მხოლოდ მირატმა იგი სიახლოვესაც არ ᲩᲘᲘᲐᲠᲐ: „შენ, როგორც გეტყობა, მარტო ჩემ სატანჯველად, სამასხროდ მომიტაცე, მთელი ღამე მატირე, შეიზიდე ხანჯალი დაასვე, არ მიმიკარე!.. ეს რას ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, თუ არ შეურაცხებასაო“, და ტირილი დაიწყო. ამასობაში გათენდა კიდეც. ისლამმა აუხსნა თავისს მეუღლეს საქმის მდგომარეობა და შერიგდენ.

მეორე დღეს, დილა ადრიანად, მოიყვანა მურადმა საუკხოვო ცხენები, დაადა მშვენიერის ფატმას სახლის წინ და თითონაც იქვე ახლოს მიიმალა.

გამოვიდა თუ არა ფატმა აივანზედ, დაინახა ცხენები და განცვიფრდა, მაგრამ მაინც ძალიან ესიამოვნა ᲩᲔ ნაზის ხმით, მორცხვად, მაგრამ გასაგონად სთქვა: „ვინც ხარ ამ ცხენების მომყვანი, გამოჩნდი, მე შენი ვარო“.

ბედნიერი მურადი იმ კვირასვე დაქორწილდა.

III

„განვლო რამდენმამე ხანმა, ძმობილებს ერთმანეთი აღარ უნახავთ, მხოლოდ ისე-კი ორივენი კმაყოფილად სცხოვრობდნენ. მაგრამ ბედი მუდმივი როდია. ისლამს მოუკვდა მისი საყვარელი ცოლი მირატი და დაქვრივებული ძმობილი მოადგა კარზედ.

— აი ძმაო,—უთხრა მურადს, ბედმა მიმეხეთა, უდროოდ დავქვრივდი. შენს მეტი ნუგეში აღარსად დამრჩენია. გაგებული მაქვს, რომ ამ შენს სოფელში ნაქებია ქალები: სილამაზით, ახოვნებით და პატიოსნებით. მეც შენის შემწეობით მინდა ერთი მათგანი, რომელიც მომეწონება, ცოლად შევირთო. შემწეობას გთხოვ, როგორც ნამდვილს ძმასა და გულითადს მეგობარს.

—კარგი და პატიოსანი, უპასუხა მურადმა, ჩვენი სოფლის ქალები ძლით წყაროზედ დადიან. ეხლა სწორეთ დროა, წავიდეთ, იქვე მახლობლად დავჯდეთ და რომელსაც მოიწონებ, თუ ნებით არ მოგვცემენ, მოვიტაცებ და გაგატანო.

აქედანვე, სახლში შეუპატიჟებლად, წაიყვანა მურადმა ძმობილი და მივიდნენ წყაროსთან.

ბევრი ლამაზი და კოპწია გოგო ჰნახა ისლამმა, მხოლოდ მოწონებითაკი არც ერთი არ მოსწონებია. არც საკვირველი იყო, რადგან მირატის სიმშვენიერე და სპეტაკი სახე ისე ნათლად უდგა ისლამს თვალ წინ, რომ მისი სადარი-კი არა, მსგავსიც ვერ იხილა. სასოწარკვეთილი ისლამი, ის-ის იყო უნდა ამდგარიყო, რომ ამ დროს თვალი მოჰკრა ერთს მშვენიერს და საუკხოო თვალტანადს ქალს, დოქით ხელში წყალზედ მიმავალს. აი ძმაო, ეს-კი მშვენიერია და ეხლა შენ იცნო, სთქვა მან.

— მოგეწონა,—შეეკითხა მურადი, ძალიან მოგეწონა?..

—ალტაკებაში ვარ, სწორეთ ალლახის ნურია,—მიუგო ისლამმა.

— მაშ ნუ დარდობ, ეს გოგო ჩემის მეზობლის ქალიშვილია, ხვალ დილასვე ან ნებით და ან ძალით შენი იქნება. მე ამალამვე გავგზავნი ჩემს ფატმას და ალლახის შემწეობით ხვალვე შენის მოყვანილის ცხენებით გაგიტეურებთ.

მართლაც მურადმა თავისის საყვარელის მეუღლის შემწეობითა და თანხმობით ყოველივე მოაწყო. დილა ადრიანად შესვა ძმობილი მის მიერ არჩეულის ქალის ხალი-ხანუმითურთ იზმაილ ბეგისაგან მოტაცებულს ცხენებზედ და გაისტუმრა.

ბედნიერმა ისლამმა გაჰქესლა სახლისკენ.

ჩვეულებრივის ქორწილის გრდახლის შემდეგ ისლამი ესტუმრა მისს საყვარელს ზალის, მხოლოდ ზალი ისევ მტირალი დახვდა. ეს მესამე დღე იყო, რაც ის ისლამის ოჯახში იყო და განუწვეტლივ ტიროდა. ვერავითარმა ხვეწნამ, ვერავითარმა მუქარამ ვერ დაიწყნარა.

დარწმუნდა ისლამი, რომ იმას, თუ არ ძალით, ასე ამ ქალის დამორჩილება არ შეეძლო. ძალა-კი, ჩვენებია და საზოგადოდ კავკასიელთს წესით სუსტ ქმნილებაზედ ნამდვილის ვაჟკაცისათვის დიდად სათაკილოა.

იმედ-გადაწყვეტილმა ისლამმა უთხრა ქალს:

— „ზალი, თუ ჩემთან არ შეგიძლია ცხოვრება, ან თუ ვინმე სხვა გიყვარს, მითხარი და გეფიცები დიდს ალლახს, რომ ისევ უკან წაგიყვან შენს დედ-მამასთან.

ბევრის ტირილისა და ფიქრის შემდეგ ძლივს ამოიღო ხმა ქალმა და სთქვა:

— მწამს, რომ ნამდვილი ვაჟკაცი ხარ და გაგიტყდები, რომ მე შენ, თუ არ ძმურად, სხვა ფრივ ვერ შეგიყვარებ, რადგან ჩემი სული და გული სხვას ეკუთვნის. ფიცი მეუღლეობისა ამისთვის მიმიცია. ეხლაკი, რა არ ისურვეთ ჩემზედ ძალის ხმარება, შენ ძმა და მე და. მიმიყვანე შენის ძმობილის სახლში და ჩემს საიდუმლოს იმისი მეუღლე გეტყვის...

ისლამი, გმირი ამ მოთხრობისა, როგორც ვუწყით, ნამდვილი ვაჟკაცი იყო. შესვა ზალი ხანუმი ცხენზედ და იმ დღესვე მიიყვანა თავისს ძმობილისას, სადაც აღმოჩნდა, რომ ზალი ხანუმს ქვეყანაზედ არავინ ჰყვარებოდა ისლამის ძმობილის გარდა...

ის იყო მურადის ცოლი ფატმა.

აბა ეხლა მითხარით, ამ ორ ძმობილთა შორის რანაირი რომელია?“...

იასე რაბველი

შემდეგ კენჭის ყრით საბჭომ გადასწყვიტა ის, თუ ვის დაეკისროს ქალაქის ქუჩების შეკეთების საქმე. 28 ხმის უმეტესობით 18 ხმის წინააღმდეგ საბჭომ დაადგინა: ყველა ქუჩები უნდა შეკეთდეს ქალაქის საზოგადო ფულით იმ დრამდე, ვიდრე იმ საგნისათვის სახლის პატრონებთან შერიგებით ცალკე გადასახადი იქმნება დაწესებული. ამ რიგად ამერიკიდან ქუჩების მოწყობის საქმე ასეა განაწილებული: ქალაქმა უნდა მოკირწყლოს და შეაკეთოს, ხოლო სახლის პატრონებმა—დაასუფთავონ, დაწმინდონ და ნაგავი დანიშნულ ადგილას გაიტანონ.

დასასრულ წაკითხულ იქმნა სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის დასუფთავება-დაწმენდის შესახებ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ.

26 მარტი.

აგრონომს ბ-ნს ტარატინოვს გამოუგზავნია გასასყიდად ქუთაისის მცხოვრებთათვის 510 ფუთი ბამბის თესლი, რომელიც გამოუწერია მერვიდან. თესლი ტომრებითაა გამოგზავნილი, თითოეულს ტომარაში სამ-სამი ფუთია, ე. ი. იმდენი, რამდენიც დასჭირდება სათესლედ ერთ დესეტინას; ამ ანგარიშით ქცევას მოუნდება ერთ ფუთზედ ცოტა მეტი (45 გირვანქა). ამ თესლის გაყიდვა მინდობილი აქვს ტარატინოვის თანაშემწეს ბ-ნ გიორგი ჯაფარიძეს, რომელიც სცხოვრობს ქუთაისის მახლობლად მდ. წყალწითელას ნაპირას, სადაც საცდელი მინდორია გამართული.

თითო ტომარა თესლი ჰღირს ორ მანეთად და ორ შაურად, ანუ ფუთი თოთხმეტ შაურად. ეს ფასი დანიშნულია მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ. რამდენიმე ნაწილი ამ თესლისა უფასოდ უნდა დაურიგდეს ღარიბ გლეხებს, თითოეულს მიეცემა არა უმეტეს ერთის ტომრისა იმ პირობით, რომ შემდეგ აცნობოს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, თუ რა გამოსავალი ჰქონდა ამ თესლს. ამასთანავე გამოგზავნილია ტარატინოვის დარიგება, პატარა ბროშურად დაბეჭდილი, თუ როგორი მოვლა სჭირდება ბამბას. კარგი იქნება, რომ ეს თესლი იყიდებოდეს ქუთაისის შუა ადგილას, სადაც ხალხი უფრო ადვილად მიაღწევს და არა იქ, სადაც სცხოვრობს ბ-ნი გ. ჯაფარიძე. იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ჯაფარიძე ეცდება ეს უხერხულობა აიცდინოს მყიდველებს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲒᲐᲜ

25 მარტი

25 მარტს თელავის საზოგადოება დიდის მწუხარებით და გლოვით გამოეთხოვა საუკუნოდ თავისს საუკეთესო მოძღვს ბ-ნს იოსებ დავითის ძეს ციხკარაშვილს, მწერლობაში ი. კახელად წოდებულს. სრულიად მოულოდნელი იყო სიკოცხლით სავსე ახალგაზდის გარდაცვალება. მიზეზად ყურის ტკივილი გაჰხდომია, რომლის გამო ჩირქით ტვინი შებღალული და ამას გაუთავებია კაცი. 21-ს იგი ცოლ-შვილით ავადმყოფობის გამო თიონეთიდგან თელავისკენ გამომგზავრებული. თელავიდგან 25 ვერსზედ სოფელს ახმეტაში მიჰგებებია ძმა და რძალი. იმ ღამეს იქ დარჩენენ ძმები, ცოლ-შვილი-კი გამოისტუმრეს თელავს. 22 ღილით გათავებულა ბედკერული, აღარ ჰღირსებია არც საყვარელის მეუღლის გამოთხოვება, არც სამ სამის პაწია შვილების უკანასკნელად დანახვა და არც ნახვა სამშობლო ქალაქისა, რის სურვილიც ძალიან ჰქონია.

ბ-ნ იოსებ დავითის ძემ ციხკარაშვილმა (ი. კახელი) სწავლა მიიღო გორის სამასწავლებლო სემინარიაში. ათი წელიწადი სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა და ყველგან დიდად პატივცემული და საყვარელი იყო, როგორც ჭირსა და ლხინში ნამდვილი მოზიარე და მომძე ხალხისა.

მასწავლებლობა რკინის გზის სამსახურზედ გასცვალა და ამ გარემოებამ იმის საღი აგებულება დაზიანა, რადგანაც რკინის გზის მოეტებული სადგურები დამცდელ ადგილებშია. აქედგან იგი სამაზრო გამგეობის მოხელედ გადავიდა ჯერ თელავში და მერე თიონეთში.

ყველგან, სადაც-კი ჰმსახურებდა განსვენებული, სამსახურის თავისუფალ დრო საზოგადო საქმეს ანდომებდა, დღე და ღამ განუწყეტლივ ჰშრომობდა, რომ თვისი წვლილი შეეწირა საზოგადო საკურთხეველისათვის.

უკანასკნელად ოთხი წელიწადი თიონეთში გაატარა, და მცირე ხანში მისის მეცადინეობით იქ ახლად დეპო დაარსდა და საზოგადო წიგნთსაცავი. ორსავე დაწესებულებას ანდომებდა თავისუფალ დროსა და ყოველის ღონისძიებით სცდილობდა მკვიდრ საძირკველზედ დაემყარებინა და მოსალოდნელი ნაყოფი გამოეღებინებინა.

ყველგან და ყოველ დროს დაჩაგრულ და ბეჩავ გლეხს მოსარჩლედ, მცველად და პატრონად გამოუჩნდებოდა ხოლმე.

მისი პროვინციელის წერილები და პატარა მოთხრობები სოფლელის გაჭირვებულ ცხოვრების სარკე იყო. ბევრი დაჰჩრა კიდევ ნაწერები, ჯერ დაუბეჭდავი. დიახ, კარგი შვილი დაჰკარგა კახეთმა. ეს იყო კიდეც მიზეზი, რომ დიდის ვებით და მწუხარებით მიეგება საზოგადოება მის უდროოდ წუთი-სოფლის მოშორებას. მთელის თელავის საზოგადოება, წოდებისა და სქესისა განურჩევლად, აგრეთვე სოფლებიდგან მოსული პატივისმცემელნი და თიანეთის საზოგადოებისაგან გამოგზავნილი დეპუტაცია დაესწრნენ მის გვამის გამოსვენებას, წირვას და წირვის შემდეგ ანდერძის აგებას, რომელიც შესრულდა ეკკლესიის ეზოში, რაკი ხალხს საყდარი ვერ იტევდა. კუბო შემკული იყო გვირგვინებით: თიანეთის საზოგადოებისა, თიანეთისავე ექიმისა, თელავის ქალთა საზოგადოებისა, მეგობრებისა და სხვათაგან. ქალთა საზოგადოების გვირგვინს ეწერა: „შენ იყავ მტერი დამჩაგრელთა და მოყვარე დაჩაგრულებისა“; მეგობართაგან გვირგვინს: „შენ ერთად-ერთი ბატონი გწამდა და შეძღებისამებრ ემსახურებოდი მას.—ეს ბატონი იყო საზოგადო სიკეთე“.

ანდერძის შესრულების დროს, წირვაზედ, სახლიდგანა და ეკკლესიიდგან გამოსვენების დროს ჩგალობდა გალობის მოყვარეთა ხორო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბბ. ძმანი ყაზახაშვილები, გაგუნაშვილი, ბერეჟიანი, ფიცხელაური, რობიტაშვილი და სხვანი. დიდის მადლობის ღირსნი არიან გალობის მოყვარეენი მშვენიერის გალობისათვის და უანგარო შრომისათვის.

განსვენებულის სახლის მოძღვარმა მ. გიორგი მრელაშვილმა წარმოსთქვა მარტივისა და გასაგების ენით გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც მრავალთა ატუეუჩა გული. მოძღვრის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა თიანეთის საზოგადოების წარმომადგენელმა ბ-ნმა მატურელაშვილმა, რომელმაც აღნიშნა დაუვიწყარი მოღვაწეობა განსვენებულისა თიანეთში.

განსვენებულს დარჩა სამი ერთმანეთზედ მოყოლებული მცირე წლოვანი შვილი და ახალგაზდა ცოლი, რომელიც საშინლად ჰგლოვობდა იმისს დაკარგვას.

ნადიკვრელი

რუსეთი

ამ ჟამად უმაღლესს სამოსწავლო უწყებაში ხელ-ახლად აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კერძო კაცთა მიერ დაარსებულ სასწავლებლებს მეტი ყურადღება მიექცეს მთავრობისაგანაო. ამ აზრით, სხვათა შორის, კერძო სასწავლებლების მოსწავლეთა გამოცდის დროს ადგილობრივ სახელმწიფო სასწავლებლის ერთი რომელიმე მასწავლებელი უნდა იქმნას ხოლმე მიწვეული.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ხაზინის ხარჯით იქმნას ხოლმე დაარსებული საპროფესიონალო სასწავლებლები ქალებისათვისო. დღემდის ამგვარი სასწავლებლები კერძო კაცთა ხელშია და მოსწავლენი არავითარის უფლებითა და უპირატესობით არა სარგებლობენ სახელმწიფო სამსახურში შესვლის დროს. ამიტომ სამინისტროს განზრახვა აქვს განსაკუთრებული წესდება შეიმუშავოს დედათა საკმარიკოო და სახელოსნო სასწავლებლების დასაარსებლად.

— რუსეთის თევზეულობის მომშენებელ და მწარმოებელ საზოგადოებაში ლაპარაკია აღძრული, რომ მუდამ წელს მთელი რუსეთის თევზეულობის მწარმოებელთა კრება იქმნას ხოლმე გამართულიო.

— განზრახვა აქვთ სახალხო გემების პატრონებს სავალდებულოდ გაუბადონ გემზედ პატარა აფთიაქის გამართვა, ფიქრშოს ყოლა და განსაკუთრებული ოთახის მომართვა-მოწყობა იმათთვის, რომელნიც მგზაურობის დროს ავად გახდებიან.

— ამ ჟამად მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დედათა უმაღ—ესს სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების შესახებ უნდა მოიღაპარაკოს. კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია საერო განათლებისა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები.

— შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ ცეცხლის მქრობელ რაზმის მოხელენი დაზღვეულ იქმნან ცეცხლის ქრობის დროს შესაძლებელ უბედურებისაგან უზრუნველსაყოფელადაო.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს გადაათვალიეროს სახელმწიფო პალატებისა და ხაზინების შტატები. ამ აზრით სახელმწიფო ხაზინების დეპარტამენტთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის თავმჯდომარეობით.

— ამ დღეებში გამოქვეყნდება განკარგულება, რომლითაც აღკრძალულ იქმნება ბავშვებისა და საერთოდ მცირე წლოვანთა ყოფნა საყასბოსა და იმ ადგილებში, სადაც პირუტყვებსა ჰხოცავენ.

უცხოეთი

ჩინეთი როგორც უკვე უწყიან მკითხველებმა, ინგლისს არაფრად ესიამოვნა ის ამბავი, რომ ჩინეთმა რუსეთს ჩრდილოეთის საუკეთესო ნავთ სადგურები პორტ-არტური და ტალიენვანი დაუთმო. ინგლისის გაზეთებმა ერთხმად დაიწყეს ლაპარაკი, რომ რუსეთის გამარჯვებას ბოლო უნდა მოეღოთ და იმისი წინ მსვლელობა შეეფერხოთო. ამ აზრით მთავრობამ პეჩილიის ყურეში დემონსტრაციის მოახდენაც-კი განიზრახა. მაგრამ, როგორც უკანასკნელად მოსულნი ცნობებიდგანა სჩანს, ინგლისი იმდენად რუსეთის შეშინებასა და შეფერხებას არ არის მოწადინებული, რამდენადაც ჩინეთში ფეხის გამაგრებას და იმის ადგილების მისაკუთრება-დაპატრონებას. „რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: „პეჩილიის ყურეში დარღვეულის თანასწორობის აღსადგენად ინგლისი თხოულობს დაეთმოს ნავთსადგური ვეი-ხეი-ვეი, რაც ესაც ამ უკანასკნელს იაპონელები განათავისუფლებენ. სადიპლომატო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთი უარს ვერ გაუბედავს ინგლისს და ამ მოთხოვნილებას აღასრულებსო“. ხოლო მეორე გაზეთის „Times“-ის კორესპონდენტი დეპეშით ატყობინებს ამბობს, რომ ჩინეთმა უკვე დაუთმო ინგლისს ვეი ხეი-ვეიო. იგივე გაზეთი მოწონავე წერილში სწერს: მართალია ვეი-ხეი-ვეი კიაო-შაუსა და პორტ-არტურს ვერ შეედრება, მაგრამ ამ ნავთ-სადგურის უპირატესობა ის არის, რომ იქიდგან ინგლისი დიდს გავლენას იქონიებს ჩინეთის მთავრობაზედ და ამ უკანასკნელს, რასაც მოიწადინებს, იმას აღასრულებინებს“. ამ რიგად, გამოდის, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის მოქმედებით გაჯავრებული ინგლისი ისევ და ისევ ჩინეთმა უნდა დაიკმაყოფილოს და მოურბილოს გული. რაღა ინგლისი, როგორც ეტყობა, ჩინეთი იმდენად გულ კეთილი ყოფილა, რომ სხვა სახელმწიფოების შეწუხებასაც ვერ მოითმენს და დრო გამოშვებით იმათ დასამშვიდებლად თავისის უზარ-მაზარის სახელმწიფოს პატარ-პატარა ნაჭრებს მოსთვლის და უთავაზებს. მართალია, შეიძლება, ერთს მშვენიერ დღეს ჩინეთი ცარიელზედ დაჯდეს და მთელი იმისი ავლა-დიდება სხვის ხელში გადავიდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, კეთილ საქმეს ჩაიდენს და ევროპის დიდს სახელმწიფოებს მოიმადლიერებს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲢᲔᲑᲘ. გაზეთების სიტყვით, ომი ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის აუცილებელი ხდება. შეერთებულის შტატების კონგრესის დეპუტატთა პალატამ ხელ-ახლა გადასდო ფული 24 სამხედრო გემის შესაძენად. გაზ. „Globe“-ს სიტყვით, ამერიკის ელჩებმა ურჩიეს კუბაში მცხოვრებ ამერიკის ქვეშევრდომთ, კუნძულს თავი გაანებეთ და სხვა უშიშარ ადგილას გადადითო. მეორე გაზეთი „Post“-ი იუწყება, რომ კუბაში მყოფ ამერიკის ელჩებმა ბრძანება მიიღეს ჰავანში შეიკრიბნენ, რომ რაწამს ომი გამოცხადდება, გემებზედ დასხდნენ და უხიფათოდ გიეცალნენ კუნძულს. ამერიკის ფლოტი ამ ჟამად ფლორიდის შტატის კეი-ვესტის ნაპირებთანა სდგას და ყოველ წუთს მზად არის კუბისაკენ გაემართოს.

— გაზეთების სიტყვით, თუ ომი მოხდა, ისპანია სამ თვეს როგორმე გაიტანს თავს და მერე-კი იძულებული იქმნება ფარ-ხმალი დაჰყაროს და შერიგება მოსთხოვოს შეერთებულ შტატებს. საქმე ის არის, რომ ისპანიის შინაური საქმეები მეტად აწყვილ-დაწყვლილია და გარდა ამისა, უკანასკნელის წლეულის მოუსავლობისა გამო ხალხი მეტად გადარიბებული და ულუკმა-პურად დარჩენილია. პური იმდენად გაძვირდა ისპანიაში, რომ მუშებს მთელი თავიანთი ფული მარტო იმისთვის უნდებათ და სხვა საჭიროებისთვის გროშიც აღარა რჩებათ. ამის გამო ბევრ ქარხანაში მომუშავეთ მოსთხოვეს ქარხნის პატრონთ სამუშაო ფასის მომატება და, რაგდანაც უარი მიიღეს, შეთქმულება მოახდინეს და მუშაობაზედ ხელი აიღეს. შეთქმულთა რიცხვი 15,000 კაცს აღემატება. მთავრობამ ჯარი გაგზავნა იმათ დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად. ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა საქმე და მუშებსაც ნება უნებურად ხელი გაიღებინა. შეტაკების დროს ჯარისკაცებმა მოჰკლეს 2 მუშა, ხოლო 32 დასჭრეს. მოკლულთა დამარხვის დროს მუშებმა დემონსტრაცია მოახდინეს. მთავრობამ თავისის მხრით უფრო მეტი ჯარი გაგზავნა მუშების დასაწყნარებლად და ამას გარდა გაზეთებსაც აღუკრძალა ამ ამბის შესახებ წერილების დაბეჭდვა.

დამაკვირდი

სიფრთხილე მთავ. მის მწვერვალზედ ასვლათ ნელ-ნელა ასდიხარ, მაგრამ ჩამოსვლათ კი სწრაფად დეკუშვები.

გიეი-დე-მოპასსანი

* * *

ღმერთო სიყვარულისაე, შენ ოოკელთაგის ასაღი ხარ, როგორც კაზაფხული, გზანი შენნა კი ძველნი არიან ცასა და ქვეყანასაეთ.

* * *

ა. ტოლსტოი

ვისირცხვი და მეკდიმებაის ადებად ბარასა ჩემისა, რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი გაძრავლდენ თავთა ზედა ჩემთა და ცოდვანი ჩემნი აღორძინდა ცა-დდე.

წმ. დავით აღმაშენებელი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ყველამ უწყის, რომ პირუტყვი, რაც უნდა შარს და რაც უნდა ეცნობ ადგილას იყოს, მაინც ადვილად გაიგნებს გზას და იპოვნის თავისის პატრონის სახლს. გშირად

პირუტყვს კაციც-კი გამოუყვანია განსაცდელისაგან და გზა-დაბნეული და იმედ-დაკარგული მოუღიდნელად ზინ მოუყვანია. მეცნიერები თავებს იმტკივნეენ და მაინც ვერ გამოუკვლევიათ და ვერ გაუგიათ, რაში მდგომარეობს პირუტყვების ასეთი ნიჭი. ზოგი იმ აზრისაა, რომ პირუტყვი ადვილად იხსომებს და არ ივიწყებს ერთხელვე გავლილს გზას, ზოგი—კიდევ იმისა, რომ პირუტყეს ბუნებითი აქვს შთანერგული ალღო, რომლის წყალობით შეუძლიან მიაგნოს თავისს სახლს. ასე თუ ისე ᲯᲣᲠ-ᲯᲣᲠობით ამის შესახებ დაკვშმარიტებული არაფერია წარმოთქმული, ამიტომ მეცნიერნი და მკვლევარნი თვალყურს ადევნებენ პირუტყვებს და სხვა-და-სხვა ამბავს ჭკრებენ იმით ცხოვრებიდან, რომ ამ ამბების შემწეობით ᲒᲣᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ აზრს დაადგენენ. სხვათა შორის, რამდენიმე ასეთი ამბავი მოთავსებულია ეურნალ „Revue Scient.“-ის უკანასკნელ ნომერში, რომელთაც აქვე მოვიყვანთ. ორის წლის კატა კალათაში ჩასვეს, მაგრა შეახვიეს ეს კალათა, ისე რომ კატას იქიდან არაფრის დანახვა არ შესძლებოდა და პარიკიდგან ერთ დაშორებულ სოფელში წაიყვანეს. კატა პარიკის ერთს უბანში იყო დაბადებული და იქიდგან ფეხი არსად არ გაუდგამს. ამის მიუხედავად, სამის დღის შემდეგ კატა სოფლიდგან პარიკში დაბრუნდა, დილა-ადრიან სახლის წინ ატუზულიყო და მოუთმენლად კარების გაღებას ელოდა. ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ კატას პარიკის უთვალავ ქუჩებსა და მისახვევ-მოსახვევებში გზა არ დაპბნევია და სახლი მაინც უპოვნია.

უფრო საკვირველი მეორე შემთხვევაა. პარიკშივე მცხოვრებმა ხელოსანმა ბინა გამოიცვალა და ერთის უბნიდგან მეორეში გადასახლდა. ეს უბნები იმდენად დაშორებულია ერთი მეორეზედ, მათ შორის იმდენი ქუჩაა, რომ თუ დიდის ხნის ნასიარულები კაცი არ არის, იმასაც-კი დაებნევა გზა, არამც თუ პირველად გავლილს წასვლის დროს ხელოსანს კატა ძველ ბინაზედ დარჩენოდა, გავიდა რვა დღე და კატა თავისის პატრონის ახალ ბინაზედ, სადაც არასოდეს არა ყოფილა, გაჩნდა საშინლად გამხდარი და მიკნავებული.

ერთი კაცი პარიკიდგან ბილანკურში წავიდა და თან თავისი პატარა ძაღლი წაიყვანა. ბილანკურში სეირნობის დროს ძაღლი სადღაც დაიკარგა და თუმცა ბევრი ეძება, მაინც ვერ იპოვა. ძაღლის პატრონი პუან დიუ-ᲯᲣᲠში წავიდა, იქ გემში ჩაჯდა და პარიᲖში დაბრუნდა. კაცი საშინლად გაკვირვებული დარჩა, როდესაც თავის სახლის წინ ატუზული ძაღლი დაინახა, რომელიც პატრონზედ ადრე დაბრუნებულიყო. ამ ძაღლს წინად არამც თუ პარიკიდგან, სახლიდგანაც-კი არსად არ გაუდგამს ფეხი.

ვიტტოს ერთმა მცხოვრებელმა თავიანი ვირი მიჰყიდა ერთს მემამულეს, რომელიც 50 ვერსის სიშორეზედ ქ. მონბარდში სცხოვრობდა. სამის დღის შემდეგ გაყიდული ვირი ვიტტოში ძველს პატრონთან დაბრუნდა.

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

თავი : მე ბ:: თავი :ბ:

ᲨᲔ: თქვა: მეორისა: თავისთვს: რაგასთვს: დაებადა: კაცი: უკუანაგს: ᲙᲜᲔᲚ: ყოველთა.

ᲐᲠᲐ იყო ᲯᲐᲠᲘᲗ. დაბადებული ესე. კაცსა ვიტᲧᲐ- ᲮᲝᲔ. შეენერებასა შინა არსთასა. რამეთუ არა ᲯᲐᲠ იყო ᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡᲘᲜ დაბადებული არღა იყო დაბადებული არცა შემოსრული არსთა მათთანა პირველ დაბადებულთა. რამეთუ

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 65.

ᲨᲔ: ᲓᲐ ᲠᲐᲓᲐᲡᲗᲕᲡ ᲣᲙᲣᲜᲐᲒᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲛᲐᲓ ᲧᲝᲕᲚᲗᲐ ᲙᲐᲪᲘ: ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲔᲚ. ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲒᲘᲡ ᲛᲔᲛᲣᲠ.

ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲗᲕᲐᲓ. ᲓᲐᲛᲓᲐᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲔᲚ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲛᲐᲡ... ᲡᲐᲜᲘᲯᲐᲡ ᲡᲐᲛᲘᲣᲤᲝᲗᲐ: და არს ესე ᲥᲔᲣᲧᲐᲜᲐᲒ. ᲬᲔᲠᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲔᲜ. და ესეცᲐᲒ. რომელთ არს მაგრილობელ მათ ᲬᲔᲓᲝ: და იᲣᲜᲘᲯᲐ ᲡᲐᲣᲧᲣᲜᲐ ᲐᲗᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔᲡ:

ᲔᲡᲔ იგი არს ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲐ. ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲐᲠᲗᲐᲒ. და ᲜᲔᲠᲒᲗᲐᲒ და ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲐ. და ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲕᲐᲓ ᲡᲘᲛᲓᲘᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲓᲐᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲔᲚ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲪᲮᲚᲝᲜᲘᲡᲐᲒ:

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲥᲔᲓᲐᲜ. ᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡᲜᲘᲜ ᲓᲐ ᲛᲑᲠᲔᲧᲘᲜᲔᲚᲔᲜᲘ. რომᲚᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲕᲠᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲐ. ᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲠᲔᲚᲔᲜᲘ. ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲡᲐᲓᲛᲝᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲪᲮᲚᲔᲡᲐᲒ:

ᲓᲐ ᲔᲡᲔ ᲥᲔᲓᲐᲜ. ᲞᲐᲢᲝᲜᲘᲡᲜᲘᲜ ᲓᲐ ᲛᲑᲠᲔᲧᲘᲜᲔᲚᲔᲜᲘ. რომᲚᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲘᲕᲠᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲩᲐᲜᲔᲚ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲪᲔᲠᲔᲚᲔᲜᲘ. ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲬᲔᲜᲔᲑᲘᲡ. ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲗᲐ ᲙᲐᲪᲘᲗᲐ. ᲛᲘᲗᲘᲗᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲬᲔᲜᲔᲑᲘᲡ. ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲗᲘᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲗᲐ ᲙᲐᲪ